საქართველოს გარემოსა და სოფლის მეურნეობის დაცვის მინისტრს

ბატონ ლევან დავითაშვილს

შპს „მეა გეო“-ს დირექტორის

თეოდორ მარღითის

სკრინინგის განცხადება

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შეზღუდულ პასუხისმგებლობის საზოგადოება „მეა გეო“-ს, ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, გაგრის ქუჩის # 2-ში (ს/კ 400086143) გააჩნია ცემენტის წარმოების საამქრო, რომელშის მიმდინარეობს კლინკერის, თაბაშირის და მინერალური დანამატების დაფქვა. აღნიშნულ საწარმოზე 2010 წლის 28 მაისის # 32 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გაცემული იყო # 000209 „გარემოზე ზემოქმედების ნებართვა“ წელიწადში 10800 ტონა ცემენტის წარმოებაზე.

სახელმწიფოში სამშენებლო ცემენტის მიმართ მზარდი მოთხოვნილობების მხედველობაში მიღებიდან გამომდინარე დაიგეგმა სამუშაო საათების გაზრდა, რაც საფუძველს იძლევა არსებულ ტექნოლოგიურ ციკლში ცვლილებების შეტანის გარეშე გაიზარდოს ცემენტის წარმოების წლიური მოცულობა 19800 ტონამდე. შესაბამისი გაანგარიშება წარმოდგენილია სკრინინგის ანგარიშში.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-5-ე მუხლის მე-12-ე პუნქტის შესაბამისად „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის წარმადობის გაზრდა ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა“. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მეა გეო“ ცემენტის წარმოების საამქროში (კლინკერის, თამაშირის და მინერალური ნედლეულის დამატებით დაფქვა) ზემოდ აღნიშნულ ცვლილებასთან (წლური სიმძლავრის გაზრდა) მიმართებაში გიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი: ცემენტის წარმოების საამქრო .(კლინკერის, თაბაშირისა და მინერალური დანამატების დაფქვა). (ქ. თბილისი. გლდანი-ნაძალადევის რაიონი. გაგრის ქ. # 2 . სკრინინგის ანგარიში.

პატივისცემით,

შპს „მეა გეო“-ს დირექტორი

თეოდორ
მარღითი

№ 16293
"16" 10 2020 წ.